გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ-დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, აგჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892

ამ ნომერში ათი გვერდია.

## „ივერია“

გამოვა 1892 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1892 წლისათვის მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესახვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

### ოფიციალური ცნობანი ხოლერის შესახებ.

დილით, 18 ივლისს, ხოლერით ავად იყო მიხეილის სამკურნალოში 19 კაცი და 6 ქალი; იმავე დღეს მიიყვანეს ორი კაცი და ერთი ქალი: ციკლაური (9 ნაწ.), მარკუშინა (10 ნაწ. მიხეილის ქუჩა, სახ. მაკრიცკისა) და ღვინიაშვილი (8 ნაწ. პირველი გონჩარნის ქუჩა, სახ. № 18). მორჩნენ: ერთი კაცი და ორი ქალი: სადათოვისა, მელაძე და გრიქუროვი. გარდაიცვალნენ: ორი კაცი და ერთი ქალი: წიკლაური, რეიხერი და მარქარ-ოღლი. 19 ივლისს, ღამე, მიიყვანეს ერთი კაცი, ჯივაშვილი (5 ნაწ. ანჩისხატის ქუჩა, საეკკლესიო სახლი) და ეფროსინე კალაშნიკოვისა (1 ნაწ. ახალი ჰოლანდია, სახლი გაბაშვილისა). გარდაიცვალნენ: ღვინიაშვილი და დანელიანცი.

დილით მიხეილის სამკურნალოში ავად იყვნენ: 17 კაცი და 5 ქალი. იმავე დღეს მიიყვანეს მამიკონოვი (5 ნაწ. ოქრომჭედლების ქუჩა, № 34). მორჩნენ ექვსი კაცი და ორი ქალი: ქეშიშ-ოღლი, მარქაროვი, კარახანოვი, ილოვენკო, ავიმ-ოღლი, ვახრუშინი, ტიტაროვისა და მარკუშინა. მეხუთე ნაწილიდგან მიიყვანეს არტიუნოვი, (მკვდარი გადმოიღეს ფაიტონიდგან). 20 ივლისს მიიყვანეს ხოლერით ავადმყოფი ორი კაცი: კარაჩიკი (აპრეშუმის სადგური) და კუზმინი (9 ნაწ. კირპიჩნი ქუჩა, სახ. ლომიძესი) და ერთი ქალი გალოვკინა (1 ნაწ., საპიორის ქუჩა, სახლი ვოდოჩკაროვისა). სამთავენი საეჭვონი არიან. გარდაიცვალა სამი კაცი: გრიქუროვი, დერგასოვი და მამიკონოვი. დილით 20 ივლისს იყო 11 კაცი და 4 ქალი.

სპარსელთათვის დროებით აგებულს სამკურნალოში 19 ივლისს იყო ორი ავადმყოფი. ამ დღეს არავინ გამხდარა ავად. 20 ივლისს მიიყვანეს ერთი ავადმყოფი ხალათოვის ქარვასლიდგან, გარდაიცვალა იუსუფ-ალა-ჯან ოღლი.

სამკურნალოს გარეშე სწამლობენ: ნიკო ხუციშვილს, 9 წლისაა (8 ნაწ. გონჩარის ქუჩა, № 14). ეფემია ვართანოვისას, (მუხრანის ხიდი, სახლი ტერ-ოჰანეზოვისა), ფრანცი იოლკო, გაგზავნეს რკინის გზის ლაზარეთში.

19 ივლისს ავად გახდა ნატალია ბაკარიანცი (საეჭვო ავადმყოფია) ნორიის მეიდანზედ, სახ. გამაზიანცისა.

გარდაიცვალნენ მიხეილის სამკურნალოს გარეშე სამხედრო გოსპიტალში ტატეს ბურნატოვი, 18 ივლ. ერიკნისტეს მარტიროსოვი, 30 წლისა, ვასილი ბულიყინი, გიორგი ბაქრაძეს-შვილი, 6 წლისა, და ტუსაღი გერასიმე ფატუევი.

ტფილისის მაზრის უფროსი იუწყება: სართიჭალაში ავად გახდა ორი დედაკაცი, გარდაიცვალა 15 ივლისს ერთი; მულანლოში ავად გახდა 3 კაცი, ამათში ორი გარდაიცვალა; ხაშმზე 15 ივლისს ორი კაცი გარდაიცვალა და ერთი ქალი. სოფ. უჯარმაში 16 ივლისს გარდაიცვალა ერთი ქალი.

გორის მაზრის უფროსი იუწყება: გორში ხელახლად ავად გახდა ორი დედაკაცი: კონია სამბაისოვისა და ნუშკა საყვარელიძე, და ლეკი რამაზან-ილური-ოღლი. სტამბელოაშვილი გარდაიცვალა. 19 ივლისს ავად გახდა ქეთევან ბულაძე, ელისაბედ სააკოვისა, პეტრე იარალოვი და ჯარის კაცი ზაბარაშვილი. წინად ავად გამხდარნი აპრისოვი და ბულაძე გარდაიცვალნენ. გარდაიცვალა აგრეთვე სოფიო თედელური. 19 ივ. გახდა ავად ნიკო თათულაშვილი.

ბორჯომში გახდა ავად ყმაწვილი ქრისტესტამოვი და გარდაიცვალა, ბოლოტნიკოვი და ხუციშვილი. სურამში 17 ივ. მოკვდა ბოლოკაძე; 18 ივ. ავად გახდა გრ. არუცევი. სოფ. ურბნისში 19 ივ. ავად იყო 8 კაცი, იმათში სამი მორჩა და ერთი მოკვდა. სოფ. მაწლეთში გარდაიცვალა ორის ყმაწვილით ცოლი ალექსიძესი, თვითონ ალექსიძე და იმისი დედა ავად არიან. სოფ. წრომში სამი ავადმყოფი რჩება.

ფოჩტალიონი, რომელსაც კავკავიდგან ფოსტა მოჰქონდა, ავად გახდა ხოლერით გუდაურში, მოსარჩენად დასტოვეს ფასანაურში.

სოფ. მატანში (თიონეთის მაზრა), ორი გახდა ავად ხოლერით.

## ახალი ამბავი

*** ბაქოს გუბერნატორი იუწყება: 16 ივლისს ბაქოს ხოლერიანთა საავადმყოფოში მიიყვანეს 11 სული, გარდაიცვალა 5, მორჩა 9, ამ ჟამად იმყოფება 57; საავადმყოფოს გარეშე გარდაიცვალა 7; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 187, გარდაიცვალა 55, მორჩა 19, დარჩა 211. სამხედრო ლაზარეთში არის 29, ბაქოს საპატიმროშია 4, ამათში 1 გარდაიცვალა, ეხლა 7.

ერევნის გუბერნატორი იუწყება: 15 ივლისს ნახჩევანში ავად იყო 41, კიდევ ავად გახდა 19, გარდაიცვალა 9, მორჩა 7, არის 44; მაზრაში იყო 22, ავად გახდა 37, გარდაიცვალა 17, არის 42, ბაშნორაშენში იყო 1, ავად გახდა 8, გარდაიცვალა 5, არის 4; შარურის მაზრაში ავად გახდა 5, გარდაიცვალა 2, არის 3; გუმბრის მაზრის ზემო-კალინჯს 14 ივლისს თავი იჩინა ხოლერამ, 8 გახდა ავად, გარდაიცვალა 2, მორჩა 1, დარჩა 5. 15 ივლისიდგან ავად გახდა 1, გარდაიცვალა 1, დარჩა 5.

განჯის გუბერნატორი იუწყება: 16 ივლისს ქ. შუშაში ავად გახდა 4, მორჩა 1, გარდაიცვალა 2, არის 19; მაზრაში ავად გახდა 66, მორჩა 64, გარდაიცვალა 30, დარჩა 42; ქ. განჯაში ავად გახდა 7, მორჩა 6, გარდაიცვალა 10, დარჩა 21; მაზრაში ავად გახდა 20, მორჩა 3, გარდაიცვალა 15, დარჩა 43; ქალ. ნუხაში ავად გახდა 23, მორჩა 8, გარდაიცვალა 9, დარჩა 13; მაზრაში ავად გახდა 21, მორჩა 5, გარდაიცვალა 8, დარჩა 19; ჯებრაილის მაზრაში ავად გახდა 23, მორჩა 2, გარდაიცვალა 22, დარჩა 11; არეშის მაზრაში ავად გახდა 19, მორჩა 8, გარდაიცვალა 7, დარჩა 28; ჯევანშირის მაზრაში ავად გახდა 36, მორჩა 10, გარდაიცვალა 29, დარჩა 48; ყაზახის მაზრაში ავად გახდა 2, მორჩა 1, დარჩა 4; ზანგეზურის მაზრიდგან ცნობანი არ არის მიღებული. სულ მთელს გუბერნიაში ხოლერით ავად არის 248 სული.

ზაქათალის ოლქის უფროსი იუწყება, რომ 16 რიცხვს ხოლერით ავად გამხდარი ფერშალი გარდაიცვალაო.

დაღესტნის გუბერნატორი იუწყება: 16 ივლისს შურაში ავად გახდა 3, გარდაიცვალა 1; პეტროვსკში ავად გახდა 26, გარდაიცვალა 18, მორჩა 1; დერბენდში ავად გახდა 8, გარდაიცვალა 3, მორჩა 3; ოლქებში ავად გახდა 93, გარდაიცვალა 79, მორჩა 62; დარჩა ავადმყოფი: შურაში—3, პეტროვსკში—62, დარბანტში—13, ოლქებში: კიურილისაში—181, კაიტაო-ტაბასარინისაში—62, სამურისაში—154, დარგინისაში—81, ყაზი-კუმიხისაში—66, თემირხანშურაში—5.

ქუთაისის გუბერნატორის სიტყვით 16 ივლისს ფოთში გირდაცვლილა ხოლერისაგან ორი კაცი.

*** პოლიციის მე-8 ნაწილში ბოქაულის ზედამხედველობით გამართული საწყობი დაუმწვარი კირისა, რომელიც მცხოვრებლებზედ ისყიდება ფუთი 30 კაპ. სადეზინფექციოდ, ამავე ნაწილიდგან შეუძლიანთ კირის ყიდვა პოლოციის მე-9 ნაწილში მცხოვრებთაც.

*** 20 ივლისს ქალაქის გამგეობაში წარადგინეს შემოწირულებანი ხოლერისაგან დაზარალებულ ოჯახობათა სასარგებლოდ: თავ. გ. დ. შარვაშიძემ—100 მანეთი, კ. ნ. რეიტერმა—100 მანეთი, ფ. კ. ოტტენმა—20 მან., ი. ა. ემინოვმა—100 მან., თ. ლ. ჰრელაშვილისამ—1 მან., ს. პ—მა—2 მან. და დოქტორმა ისტამანოვმა—20 მანეთი. სულ წარმოდგენილ იქმნა 343 მანეთი.

*** ტფილისის მიხეილის სამკურნალოს უფროსი ექიმი სჩივის, რომ ამ ღამე მოსვენება არა აქვთ ავადმყოფებს ეტლების რიხინისაგანაო. ვიღაც მოქეიფე ისე მოადრიგინებს ეტლებს ღამე, თითქო ცხენები გაგიჟებულიყვნენ და უგზო-უკვლოდ მიაქროლებდნენ ეტლსაო. კარგი იქნება, ამ გარემოებას ყურადღება მიაქციოს, ვისიც ჯერ არს, და მეეტლეებს აღუკრძალოს ამ ალაგას მეტის-მეტი სწრაფი სიარული. ამას გარდა, კარგსავე იზამენ, რომ სამკურნალოს ქვემოდგან ქუჩას ქვას აჰყრიდნენ და გზატკეცილს გააკეთებდნენ, რომ ეტლების სიარულმა უფრო ნელი ხმა გამოსცეს.

*** მიხეილის ქუჩის დასაწყისი, ვარანცოვის ძეგლიდგან მოკიდებული, თითქმის საავადმყოფომდე, ერთს თვეს შეკრული იყო, ვითომდა იმ მიზეზით, რომ გზა უნდა გაკეთდესო. ბოლოს ახსნეს გზა, მაგრამ ისევ იმ მდგომარეობაშია. ამ ალაგას ისეა მოთხრილ-მითხრებული გზა, რომ ეტლითაც-კი გავლა ყოვლად შეუძლებელია, რადგან ეტლის თვლები თხრილებში ხვდება და ეტლზედ მსხდომთ ბურთსავით ისვრის და ანჯღრევს. ნუ თუ ამ ქუჩის შესწორება-შეკეთება ისე გაჭირდა და გაძნელდა, რომ აქამდისაც ვერა მოუხერხეს-რა?!.

*** ქუთაისი: აქაურ რკინის გზის სადგურზედ, 9 ივლისს, ხოლერით ავად გახდა ჟანდარმი გოლოვკოვი, რომელიც 18 ივლისს ჩამოვიდა ბათუმიდგან.

*** ფოთი: 6 დღეში ჩვენს ქალაქში სულ 10 სული გახდა ხოლერით ავად.

*** ძირულა: 19 ივლისს, შუადღისას, ბელოგორსა და ძირულას შუა საქონლის მატარებელმა (მე-50 №-ი) ფეხი მოაგდებინა გზაზედ მომუშავე გიორგაძეს. დაშავებული ამავე მატარებლით დახმარების აღმოსაჩენად ყვირილის სადგურზედ გაიგზავნა.

*** სურამი: ადგილობრივი პოლიციის სიტყვით, სურამში ხოლერა დათარეშობს. 16 ივლისიდგან ავად გამხდარა და გარდაცვლილა ოთხი კაცი. რამდენიმე კიდევ ავად არის.

*** დიდი-ჯიხაიში: აქ საქონლის ავადმყოფობაა, რის მიზეზითაც ერთის კვირის განმავლობაში სამოც სულამდე საქონელი დაიხოცა. თუმცა უმეცარი ხალხი კარბოლის სიმჟავეს ასხამს, მაგრამ არაფერსა ჰშველის. კარგი იქნება, რომ მთავრობა მიაქცევდეს ამას ყურადღებას დროზედ, თორემ ცოტა ხანი კიდევ და აქაური მცხოვრებლები სრულიად უხარ-კამბეჩოდ დარჩებიან.

*** გორი: გუბერნატორის განკარგულებით ამ დღეებში მოვიდა ექიმი მალალაშვილი ფერშლებით და წამლებითა. მაგრამ ეს ერთი ექიმი ზღვაში ერთი წვეთია: გორის მაზრა ერთობ დიდია; სოფლებს მოედო ხოლერა; საფიქრებელია, რომ დიდს ადგილს შემოიფარგლავს ეს დაუპატიჟებელი სტუმარი, ამიტომ ძალიან და ძალიან საჭიროა ექიმების მომატება. მალალაშვილს გარდა დანიშნულია გუბერნატორისაგან გორელი ფერშალი ტკაჩენკო, რომელმაც უსასყიდლოდ გამოაცხადა მაზრაში სამსახურის სურვილი ეს კაცი ძალიან გამოცდილია თავის ხელობაში, ქართული კარგად იცის, უყვარს ხალხი, უანგარო ადამიანია, მუყაითია თავის საქმისა და ამიტომ დიდს სარგებლობას მოუტანს ხალხსა.

*** იქიდამვე: აქ ხმა დავარდა, რომ გორის მაზრის ექიმი ბ-ნი ზ. ტერ-მინასოვი დაუთხოვნიათ სამსახურიდგანაო; ზოგი ამბობს, ბაქოში გადუყვანიათ და, როდესაც ეპიდემია გათავდება, მაშინ დაითხოვენო. ასეა თუ ისე, დღეს ჩვენს მაზრას ექიმი არა ჰყავს; არის ექიმი ცხინვალში ბ-ნი ცისკარაშვილი, მაგრამ ის სად გასწვდება ამოდენა მაზრასა. მინამ მალალაშვილი მოვიდოდა, ბ-ნი ცისკარაშვილი დადიოდა ხოლერიან სოფლებში; ერთი წუთი არ ჰქონდა მოსვენება. უნდა ვსთქვათ, რომ ძალიან მუყაითიც არის თავის საქმისა. აქ ხმა დადის, რომ ექიმი გედევანიშვილი გადმოჰყავთ მაზრის ექიმადაო.

*** იქიდამვე: გორის ქალაქის სასანიტარო ექიმად დანიშნულია ექიმი ბ-ნი ს. ალიხანოვი; ქალაქი ექვს სანიტარულ ნაწილად არის გაყოფილი; 1-ს განყოფილების მზრუნველად არის ბ-ნი ს. მგალობლიშვილი, 2-სა პიაცესკი; 3-სა გრ. ზუბალოვი, 4-სა კ. სანთლიკუდაშვილი; 5-სა გაუსმანი და 6-სა შეპფი. ქალაქი სუფთად არის შენახული; ტყუილია ის ხმები

და ნაწერები გაზეთებში, ვითომც გორში დიდი უსუფთაობა იყოს და წუმპეები იდგეს. მაგრამ ამ საგნის შესახებ საკუთრივ მოგწერავთ.

*** თელავი: ჩვენი ერთგვარობით მოცული ყოფა-ცხოვრების მიმდინარეობა კვირას, 12 ივლისს, განსხვაფერდა წარმოდგენით, რომელიც გამართეს რუსულ ენაზედ აქაურ სცენის მოყვარეთა სომხის საქველ-მოქმედო საზოგადოების თეატრში. წარმოდგენილი იყო ცნობილი პიესა „ბედნიერი დღე“ (счастливый день) და ვოლხოვსკის ვოდევილი: „ჟუჟუ“. ბედნიერმა დღემ კარგად ჩაიარა. ლამაზად შეასრულეს თავიანთი როლები ბ-ნმა ჯორჯაძემ (სანდირიოვისა), ბ-ნმა ანდრეევმა (ფსევდონიმია) (გენერალ შურგინისა) და ბ-ნმა სევერსკიმ (ფსევდონიმია) (ჩინოვნიკ ივანოვისა). ამ უკანასკნელმა ხალხი თუმცა ძალიან აცინა, მაგრამ ამასთანავე, რომ იტყვიან ხოლმე, „გადაამლაშა“ კიდეც. ქალებს საზოგადოთ არა უჭირდათ-რა. ნამეტნავად კარგი იყო სანდირიოვას როლში ქ-ნი მარჯანოვისა, რომელსაც შესაფერი გრიმი გაეკეთებინა და თამაშობაც შეხამებული ჰქონდა.

ვოდევილმა „ჟუჟუმ“, რომელიც მხიარულის შინაარსისაა, უფერულად ჩაიარა. გამოგდებულ სემინარიელ აგაფონგერ სტრატილატოვიჩ სტრასტნ.ისუბოტინსკის როლი ბ-ნმა სევერსკიმ (არტისტია სამარინ-ბიხოვეცის საოპერეტო დასისა ტფილისში) მეტად სუსტად შეასრულა. სხვა სცენის მოყვარენიც ჰკოჰლობდნენ.

წარმოდგენას დიდ-ძალი ხალხი დაესწრო. შემოსავალი კარგი უნდა იყოს, მით უფრო, რომ ფასები ძალიან აეწიათ. წარმოდგენიდგან შემოსავალი „ხოლერასთან გამკლავების საქმის“ სასარგებლოდ გადაიდო. წარმოდგენები ამ აზრით, ახლანდელ დროში, მართლა რომ საჭიროა, რადგანაც შემოსულის ფულით სახოლერო საქმე წინ წაიწევს.

პროფესორი ხახანაშვილი გვეწვია. ამ ჟამად ჯერ ისევ ჩვენში იმყოფება.

*** მთა (საქართველოს სამხედრო გზა). შარშან ამ დროს წვიმისა და ნიაღვრებისაგან გვქონდა მობეზრებული თავი და ილაჯ-გაწყვეტილნი ვიყავით უგზოობის გამო. წელს-კი თუმცა გზები კარგად გაიმართა და ხალხს ამ მხრივ შევიწროება თავიდგან ასცილდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ახლა გვალვამა და უწყლობამ ლამის არის ეს ისეც უნაყოფო და უმოსავლიანო ჩვენი მხარე სულ მიწასთან გაასწოროს და თივითა და პურით სარგებლობასაც ხალხი მოაკლოს. მთელს მაისსა და თიბათვეში ხუთჯერ არ ყოფილა ავდარი და მაშინაც ოღონდ ცოტაოდნად-კი შეასველა ნამუშევარი. მეორე დღეს დაადგა ცხელი მზე და მოსცა სამხრეთის ქარი და ისე გამოაშრო და დაკლარძა ჯეჯილი და ბალახი, რომ სულ ერთიანად ზაფრანას ფერად მოაქცია. გვალვას თან მოჰყვა ზოგ-ზოგ სოფლების საუბედუროდ, სხვილ-ფეხის საქონლის სატკივარი თურქული და პირისტკივილი და სულ კუტადა ჰყრია საქონელი. ამაებს რითაც იქნება გავუძლებთ, თუ ღმერთმან ამ თვალ უჩინარს და სასტიკს მტერს ხოლერას მაინც გადაგვარჩია. ჯერ-კი ღვთით ჩვენსკენ მშვიდობიანობა არის, მაგრამ ტბილისის და კავკავის ხოლერიანობამ-კი ძლიერ შიშის ზარი დასცა აქაობასა. 8 ივლისს ამ გზაზედ ჩამოიარა ტფილისიდგან კავკავში მცხოვრებელმა მეფურგუნე ნურნიკოვმა, რომელსაც ბარგს გარდა რამდენიმე მოგზაურიც მიჰყავდა. როგორც ეხლა გავიგეთ, ის მეფურგუნე და ერთიც სხვა წევრი იმის ოჯახისა 12 ივლისს უკვე გარდაცვლილან და სამიც იმავე სახლიდგან ავადმყოფნი ხოლერით სამკურნალოში გაუგზავნიათ. როგორც მოგეხსენებათ, ამისთანა ფურგუნებისა და მგზავრების ღამის თავშესაფრები გახლავთ ქალაქ ტფილისიდგან კავკავამდის ყველა ფოსტის სადგურს ახლოს სავაჭრო ეზოები. სამწუხაროდ ამ ჟამად ძალიან იმატა მდაბიო მუშა ხალხის ტფილისიდგან კავკავში სიარულმა. ვგონებთ, რომ სულ ხოლერას უფრთხოდნენ.

*** კვირას, 9 ივლისს, ვერაზედ, მოსკოვის ბაღჯაში კარბოლის სიმჟავით თავი მოიწამლა მარტიროსიანცის სტამბის ასოთ ამწყობმა პეტრე მარუსალოვმა, გაზ. „Нов. Обоз.“-ს მეტრანპაჟად ნამყოფმა. გარდაცვალებულს ყოვლად უნუგეშოდ და უშემწეოდ დარჩა ცოლი და ორიც პაწია ყმაწვილი.

*** 17 ივლისს რტიშჩევის ქუჩაზედ ტფილისის სამოსამართლო პალატის წევრმა ივან ჩერლენიოვსკიმ პოლიციაში გამოაცხადა, რომ 16 ივლისს, დილის 5 საათზედ, ჩემის სადგურიდგან 40 მან. ღირებული საათი მომპარესო.

## საეპარქიო მთავრობის განკარგულებანი.

ყოვლად უსამღვდელოესო, ექსარხოსო საქართველოსავ, მთავარეპისკოპოსო ქართლისა და კახეთისავ პალადი.

მივიღე რა ხელმწიფებრივსა მხედველობასა შინა ჩემსა დიდ-ხნოვანი მწყემსმთავრული სამსახური თქვენი და აგრეთვე ის მამობრივი მზრუნველობა, რომლითაც ყოველთვის განირჩევით თქვენდამო რწმუნებულ სამწყოს საკეთილოდ, და მოვინდომე რა პატივი მეცა სამსახურისა თქვენისათვის განსაკუთრებულისა ჩემისა სათნო-ყოფითა, გიწყალობებ ამასთანავე წარმოგზავნილს ბრილიანტის ნიშნებს წმიდისა კეთილ-მორწმუნისა დიდის მთავრისა ალექსანდრე ნეველის ორდენისასა.

მოვანდობ რა თავსა ჩემსა ლოცვათა თქვენთა, დავშთები მწყალობელი თქვენი.

ნამდვილს მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის საკუთარის ხელით აწერია: ალექსანდრე.

## ღაბა დ სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**სოფ. ჯიმითი.** სიღნაღის მაზრა, 13 ივლისი. ხოლერის შიშმა ჩვენი სოფლელებიც აიტანა, აქაც დააფაცურა ხალხი, აქაც დაიწყეს გზების და ეზოების დასუფთავება. აქაური ბოქაული, მისდა საქებრად, ძალიან გულ-მოდგენით მოეკიდა ამ საქმეს: არც დღე, არც ღამე მოსვენება არა აქვს; ამ ორი-სამი დღის წინათ იმანა და ველისციხის ექიმმა დაიარეს ეზო-ეზო ყველა სოფლები და დაათვალიერეს, თუ რამდენად გაუსუფთავებიათ მცხოვრებლებს თავიანთი კარმიდამო. არავითარ საშუალებას არა ზოგავს ხსენებული ბოქაული, რომ თავისი საბოქაულო, რამდენადაც შესაძლებელია, გაასუფთავოს და გაწმინდოს მრავალ-გვარ უწმინდურობისაგან. უნდა მოგახსენოთ, რომ წარმოუდგენელი უწმინდურება ყოფილა ჩვენს სოფლებში! ვერ ჰნახავთ ისეთს მოსახლეს, რომლის სახლის წინაც ათის-ოცის წლის ნაყარი პირუტყვის პატივი არ იყოს დაგროვებული. არიან ისეთი ოჯახიშვილებიც, რომელთაც დასაბამიდგანვე ხელი არ უხლიათ უშველებელ სასუქის ზვინისათვის: იმოდენა მთები გაკეთებულა, რომ იმათი დაძვრა და გატანა სოფელს გარეთ არამც თუ ერთს ოჯახს არ შეუძლიან, არამედ მთელს სოფლისათვისაც გასაჭირი იქნება.—

ფეხის ადგილებისათვის ორმოების ამოთხრა ხომ კიდევ სიზმრადაც არავის მოსვლია არაოდეს. ფეხის ადგილებათ აქ ან საქათმოები აქვთ, ან ის ვიწრო ადგილები, რომელნიც სახლსა და სახლის შუა დარჩენილა (კახეთში ბევრს სოფელში სახლები ისე ახლო-ახლო არიან გაშენებულნი, რომ ერთის სახლის სახურავი იქ თავდება, სადაც მეორისა იწყება). ამ ადგილების დაწმენდა არავის აზრათაც არ მოსვლია არაოდეს; წვიმა თუ როგორმე წაიღებდა იმ უწმინდურებას, თორემ სხვა საშუალება აქ არაოდეს არ უხმარიათ. ლოგინიც ერთობ უწმინდურათა აქვთ შენახული: რომ შეკერილა, მას აქეთ არ ღირსებია არც გარეცხა და არც გამზეურება. ისეთი ფერი და სუნი აქვს ამ ლოგინს, რომ დიდად მომთმენი ცხვირი და თვალი უნდა გქონდეს, რომ ნახევარ საათი მის ახლო იდგე. ჭურჭელსაც და საზოგადოთ მთელს ავეჯეულობას სწორეთ ასეთივე სუნი და ფერი აქვთ. სასმელი წყლებიც—წყაროები—ერთობ ბინძურად ინახება: ღორი, ძაღლი, ძროხა, ვირი, ცხენი და სხვა შინაური და გარეული პირუტყვებიც იქა სმენ წყალს, საიდგანაც ხალხს მოაქვს სასმელად. ამას დაუმატეთ ის ყოვლად წამხდარი და მავნებელი სასმელები და საჭმელები, რომელნიც ჩვენებურს დუქნებში იყიდება და მაშინ თვალწინ წარმოგიდგებათ მკრთალი სურათი იმ უსუფთაობისა და უწმინდურობისა, რომელშიაც იმყოფება ჩვენი სოფლები.

აბა მოდი და ამ გვარი სოფლები ერთსა და ორ კვირაში გაასუფთავე. რა ქნას ერთმა კაცმა, დიდი გამჭრიახობა და ენერგიაც რომ გამოიჩინოს, თუ თვითონ მცხოვრებლები და სოფლის მოხელენი არ დაეხმარნენ? რამდენად ეხმარებიან სოფლელები და ან სოფლის მოხელენი, ამას ქვევით მოგახსენებთ.

თითქმის ერთი თთვე იქნება, რაც ბოქაულმა გამოუცხადა, რომ ბაქოში ხოლერა გაჩენილა, გუბერნატორისაგან ბრძანება მოგვივიდა გამოგიცხადოთ, რომ თვითეულმა მოსახლემ თავისი სახლი, ეზო და გასადევარი გზა სუფთად შეინახოთ, ამ დღიდგანვე შეუდექით და გაასუფთავეთო. ამოირჩიეთ ოთხიოდე-ხუთი სინიდისიანი კაცი, რომ იმათ მამასახლისთან ერთად თვალ-ყური ადევნონ, რათა ყველა მოსახლემ გაასუფთავოს თავისი სახლი დ ეზო. ამ „სინიდისიანმა“ კაცებმა მამასახლისითურთ ძალიან „სინიდისიანად-კი“ შეასრულეს ხალხის

# ფელეტონი

### ეგზამენის წინად

(მოთხრობა გეორგ ბენდლერისა)

— ერთი პატარა ხანს შეაჩერეთ ეგ წარღვნა, ქალბატონო შულცე! კარლი შინ არის?

— დიაღ, ბატონო არტურო, სწავლობს!-ო, კმაყოფილებით წარმოსთქვა მოხუცმა ადამიანმა და გვერდზედ მიდგა წყლის ჭურჭელი, რომლითაც ეზოსა რწყავდა.

— კიდევ სწავლობს? ხომ ჭკუაზედ შეიშალა მაგდენის სწავლითა! მხიარულის ღიმილით წარმოსთქვა ახალგაზდა, მაღალის ტანის კაცმა, რომელსაც ფრაკი ეცვა, თეთრი ხელსახვევი ეხვია და სახეზედ დიდ-კაცის შვილობა ეტყობოდა. ცალს ხელში არტურს ცილინდრი ეჭირა და მეორე ხელით შუბლზედ ოფლს იწმენდავდა. აბა ერთი აქ შემომხედეთ, განაგრძო არტურმა: მე სრულიად არაფერს არ ვაკეთებ!

— თქვენ რაო, წამოილაპარაკა დედაბერმა: უიუოდ ყველაფერი დასწავლილი გექნებათ! ძნელი რამ-კია ეს რაღაც ეგზამენია! თქვენ როგორა გგონიათ, გაიმარჯვებს თუ არა ჩემი შვილი?

— ნეტავი ჩემის თავისთვის ვიცოდე, როგორ მომივა საქმე. მაგრამ ერიჰა! ხვალ ამ დროს მე და კარლი დიდ ოფლის წურვაში ვიქნებით!

— ღმერთო ჩემო, ნეტა ერთი დროზედ გაგითავდეთ! რა ნაირად მიფანცქალებს გული! დედა თქვენსა და თქვენს დასაც ესე ეშინიანთ?

— რა კითხვა უნდა, ეშინებათ! მარტო ერთი მე ვარ, რომ არაფრისა მეშინიან. მე თუნდაც ჩავიჭრა; იმაზედ უარესი ხომ აღარ დამემართება-რა; მაშ თავი რაღაზედ გავიცხელო მეტის მეტად.

— ეჰ, თქვენ რა! მდიდარი ბრძანდებით, დედა თქვენს ფული არ ენანება; სულ ერთია ერთის წლით ადრე ჩავარდებით საშოვარში თუ გვიანა. კარლის საქმე სულ სხვაა... დროა, რომ მუშაობას შეუდგეს.

— აგრე ბევრსაც ნუ გამოეკიდებით, ქალბატონო შულცე. როგორც გინდა აიღ-დაიღოთ, ქიმიის ცოდნით ბევრს ვერაფერს სარჩოს შეიძენს კაცი. ჰა, ნუ-კი შეგეშინდებათო, დაუმატა არტურმა, შეატყო რა მღელვარება დედაბერს. დედაჩემმა ხომ პირობა მოგცათ, კარლს მანამდე ვაცხოვრებ, ვიდრე რიგიანს ადგილს რასმე ჩაიგდებსო. სწორე მოგახსენოთ, ჩემი საქმე რომ იყოს, კარლს იმის მამასავით ისევ მეეტლეობას ჩავაბარებდი. მაგრამ ხომ იცით, რა ადამიანიც არის დედაჩემი. განათლებას ისე ჩასციებია, რომ ლამის თან გადაჰყვეს. კარლსაც ამიტომ დააწყებინა სწავლა. ასე ჰგონია ესა სჯობია მეეტლეობასაო. თქვენც-კი ქალბატონო, შულცე, მგონი ექიმობისთანა აღარა გგონიათ-რა. ჩემთვის-კი სულ ერთია; კარგი მეეტლე მირჩევნია ცუდს ექიმსა.

— მართალი ბრძანებაა, მაგრამ ექიმობა კიდევ სულ სხვა სახელია.

— ჰაი, ჰაი!-ო დაცინვით წარმოსთქვა არტურმა. „ბატონი ექიმი დიდი მხეცია!“. ახ, რა მშვენიერი სახელია! კარლზე-კი არ გეგონოთ; იმაზედ არ მოგახსენებთ ამასა. რაც იმან იცის, იმის მეოთხედი რომ მე ვიცოდე, ძლიერ მოხარული ვიქნებოდი, მეტადრე დღევანდელს დღესა. მაგრამ თქვენი მარგალიტი ლიზა სადღაა?.. განაგრძო არტურმა და აქეთ-იქით დაიწყო ცქერა: რატომ არსადა სჩანს.

— შინ არის, აუთოვებს.

— ლიზა, სადა ხარ? აბა ერთი გამოფრინდი!-ო ხუმრობის კილოთი დაიძახა არტურმა... დედაბერმა ცოტათი თვალები აიმრიზა.

— ლიზა ვერ გამოვა: საღამურად არის ჩაცმული, რაკი ასე ცხელა.

— საღამურად არის ჩაცმული? ბედნიერი ყოფილა!—ამოოხვრით სთქვა არტურმა და კვლავ შუბლზედ ოფლი მოიწმინდა. ყველანი ჩემზედ უკეთესს ყოფაში ხართ. თქვენ წყალი გიჭირავთ ხელში, ლიზა საღამურად ყოფილა ჩაცმული და მე-კი ეს მაუდის ფრაკი მაცვია. ეშმაკმა წაიღოს პროფესორების თავი! ეხლა-კი მშვიდობით, ქალბატონო შულცე. კარლთან მინდა შევიდე.

არტური ქვემო, სარდაფის სართულში ჩავიდა, შულცების სახლში. დედაბერმა კვლავ ეზოს რწყვა დაიწყო.

არტური რომ შევიდა, კარლი მუშაობდა; მთელი სტოლი წიგნებითა ჰქონდა სავსე; ჰფურცლავდა და რვეულებს ადარებდა. ტანზედ კარლს ვიწრო მოკლე ხალათი ეცვა და მხრებთან გარღვევას ლამობდა. თვით კარლი კისერ დაბალი, დიდ თავა და შუბლ გადაშლილი, პატარა თვალება კაცი იყო. ყურები საშინლად გასწითლებოდა, სახეზედ მოქანცულობა და ბევრი ნაშრომობა ეტყობოდა.

არტურმა მხარზედ ხელი დაჰკრა.

— ძმობილო, ნუ თუ არ მოგეწყინა მაგდენი ჯიჯინი?

— რას იზამ! ვსწავლობ, ვსწავლობ და ვატყობ, რომ სულ კიდევ რაღაც მაკლია.

— მაინც სულ ეგრე დაგემართება, გინდა ისწავლო, გინდა არა. აბა ერთი, თუ ღმერთი გწამს, ვის შეუძლიან ამ სისულელის მთლიანად დასწავლა.

— არ გინდა საღამოზედ ერთად გავიმეორროთო? შეეკითხა კარლი.

— მე ეგ ფიქრადაც არ მომსვლია. თეატრში მივდივარ.

— დღეს მიდიხართ თეატრში, ეგზამენის წინა დღით? მე მაგას, სწორე მოგახსენოთ, ჩემს დღეში ვერ მოვახერხებდი; გული ვერ გამწევდა თეატრში.

— სწორედ დღეს უნდა წავიდე თეატრში. ვინ იცის, განა ხვალ კიდევ შემეძლება უსირცხვილოდ სადმე წასვლა! იყავი, პროფესორები ჰნახე? ღმერთო, ეს რა სულელური ადათია პროფესორებთან დარბაზად სიარული!

— დღეს სადილობამდე დავუარე, მაგრამ შინ არც ერთი არ დამიხვდა.

— მე-კი ყველანი შინ დამიხვდნენ. ეს არის ეხლა იმათგან მოვდივარ. ნეტა ერთი მალე მოვიშორო ეს ოხერი ფრაკი. სწორედ სატანჯველია ამ სიცხეში ფრაკით სიარული! მაგრამ ცოტაოდენი საქმე-კი გავაკეთე! ფილოსოფოსი ლისმინი ლეიბნიციო გამაძრობს ტყავსა. ცოტაოდნად უნდა გადავიკითხო რამე.

— მერე როგორ შეიტყე ეგა? ჰკითხა კარლმა და განცვიფრებით შეჰხედა არტურსა.

— ძლიერ ადვილად, პირდაპირ იმასა ვკითხე. იქიდგან ფიზიკის პროფესორს ფოგელერთან გასწიე. იმას-კი

მინდობილობა. ასე რომ ჩემის მხრით ხალხს ვურჩევ დაუვიწყარი ძეგლი დაუდგას, როცა განისვენებენ წიაღსა შინა აბრაამისასა. ზემოხსენებულმა კაცებმა ერთი ორჯელ-სამჯერ აუარ-ჩამოუარეს სოფელს, შეიტყეს, ვის მსუქანი დედალი ჰყავს, ვის ადრეული ვარიები, ვის წითელი ღვინო აქვს... შემდეგ მონახეს შავი გრილო, დასხდნენ ამ შავს გრილოში და დაიწყეს შენი მოწონებული ქეიფი და არხალალოს ძახილი. სოფლის გასუფთავება ამათ ფეხებზე ეკიდათ.

ათს ივლისს ექიმი და ბოქაული მოვიდნენ ჩვენს სოფელში, რომ დაეთვალიერებინათ, თუ რამდენად შეასრულეს „სინიდისიანმა“ კაცებმა სოფლის მინდობილება. და რა ნახეს? რა მდგომარეობაშიაც ბოქაულმა დასტოვა სოფელი, იმავე მდგომარეობაში ნახა. დაუყოვნებლივ გამოსცვალა ძველი სანიტარები და ახლა სხვანი დანიშნა; ვნახოთ ესენი როგორ-ღა აასრულებენ თავიანთ საქმეს. მამასახლისის ამბავი ბოქაულმა მაზრის უფროსს აცნობა, რომელმაც ჩამოართვა მამასახლისს თანამდებობა და გარდასცა მის კანდიდატს.

უნდა სთქვას კაცმა, სოფლელები ერთობ ჯიუტობენ, არ ასრულებენ არავის დარიგებას, არ ესმით, რომ ეს უწმინდურება ხოლერის ბუდედ გადაიქცევა და შემდეგ შველა ძნელი-ღა იქნება. „ასი წელიწადი იქნება ე პატივი აქა ძევს და სატკივარი არ გაუჩენია და ახლა როგორ-ღა გააჩენს“. „ე ჩვენი წვალება და დაღუპა უნდათ, თორე რატომ აქამდისინ არა უთქვამსთ-რა? ე მეორეთ მოსვლის ნიშნებია, ჩვენი ცხოვრება აღარ უნდათ, თორემ მკათმთვეში, ამ ცხელ დღეებში, სასუქის საზიდათ ვისა სცალიან?“ ამ გვარი ლაპარაკი გლეხობაში ხშირად ისმის. ამ გვარი მაგალითიც მოხდა: ერთს გლეხს ციებცხელებით ცოლი ჰყავნდა ავად და, როცა იმ სოფელში ექიმი მოვიდა, მეზობლებმა ურჩიეს, ცოლი დამალე, თორემ ექიმი წამალს დაალევინებს და ფეხებს გააფშეკინებსო. იმანაც აიღო და ვენახში მიმალა და, სინამ ექიმი არ წავიდა, სახლში არ შემოიყვანა.

ამას წინად „ივერია“-ში წავიკითხე: იბეჭდება ქართულს, რუსულს და სომხურს ენაზე დარიგება, თუ როგორ უნდა მოიქცეს ხალხი, ვინიცობაა ხოლერა გაჩნდესო უმორჩილესად გთხოვთ, შეგვატყობინოთ, სადაა ეს დარიგება, ვისთანაა, ან იყიდება, თუ უფასოთ ურიგდება ხალხს? ჩვენ აქ სოფლად არაფერი არ ვიცით*). ხოლერა მოგვიახლოვდა და ახლაა საჭირო, თორემ როცა კლანჭებს მოგვკიდებს, მერე რად გვინდა?

პურის მოსავალი ჩვენკენ საქები არ არის: პურს გუდაფშუტა მოერია და თითქმის სულ ერთიანად წაახდინა. გაზაფხულის მოსავალი—სიმინდი და ფეტვი კიდევ სულ არ ვარგა: თითქმის თთვეზე მეტი იქნება წვიმა არ გვღირსებია და გაზაფხულის მოსავალი შიგ ამოიწვა. სიმინდი ნახევარ არშინზე ზევით აღარ გაიზარდა და რაღაც ტაროს მზგავსი გამოიტანა; ფეტვიც ასე ორ გოჯს არ ასცილებია. ვენახები-კი, მადლობა ღმერთს, ჯერ ხანად კარგები გვაქვს, ხოლო აქა-იქ ნაცარი უჩანს, მაგრამ ნაცარი იმდენს ზარალს ვერ მოგვცემს. საზოგადოდ აქეთკენ ძალიან სიცხეები დაიჭირა და სულ ერთიანად მოხრუკა აქაურობა, სინედლე აღარც მინდორს ეტყობა და აღარც ტყესა. მოუთმენლად მოველით წვიმას და გაგრილებას, მაგრამ სადაა, ჯერ არაფერს ნიშნებსა ვხედავთ ამისას.

ზიარელი

---

*) ერთი დარიგება დაბეჭდა ტფილისის სამკურნალოს მთავრობამ და დაარიგა დაბა და სოფლებში. გვიკვირს, როგორ მომხდარა რომ ეს დარიგება ჯიმითის სამამასახლისოს არ მიუღია. მეორე დარიგება დაბეჭდილ იქმნა ტფილისის მოურავის განკარგულებით და დარიგდა უფრო ტფილისში.

## წერილი ქუთაისიდგან

(ხოლერის გამო)

6 ამ თთვისას მეტის-მეტად შეგვაფუცხუნა ბ-ნმა ოჰანეზოვმა, რომელსაც, ტფილისიდამ ჩამოსვლისათანავე, ხოლერის ნიშნები გამოაჩნდა. ამ შემთხვევამ, მართალია, დაგვანაღვლა, შეგვაშინა, მაგრამ ისევ სული მოვიბრუნეთ, რადგანაც გავიდა რვა დღე და სხვა არავინ გახდა ავად. თავს ბევრი იმით ინუგეშებდა, რომ ალბად ხოლერა არ არისო, თორემ ერთბაშად მოგვედებოდაო; ბევრიც თუმცა დარწმუნებული იყო, რომ ხოლერამ თავი იჩინა, მაინც არა ტყდებოდა, რათა ხოლერის ამბავი არ გავრცელდესო და ზარალი არ მოგვეცესო. ასე და ამ გვარად, ცოტად თუ ბევრად, დავმშვიდდით, ოჰანეზოვის ამბავი თითქმის დავივიწყეთ, ხოლო 14-ს ამ თთვისას, ღამით, ხოლერის ნიშნებით ავად გახდა პოლიციის ჯარის-კაცი ჯულუხაძე; საბრალო ავადმყოფი ბ-ნმა პოლიციის უფროსმა იმ წამსვე გაგზავნა სამხედრო საავადმყოფოში, საცა ჯულუხაძე გადაიცვალა დილით 15 ამ თთვისას. რვა დღის განმავლობაში ესეც ორი შემთხვევა. ეხლა ისე თამამად არავინა ჰყვირის, ქუთაისში ხოლერა არ არისო, ექიმების მოგონილიაო. ხოლერის ნიშნებმა რომ ქუთაისშიაც თავი იჩინა, ეს ადვილად დასაჯერებელია და მით უფრო მომეტებული ცდა და სიფხიზლე გვმართებს, რომ ამ საშინელს სენს ფრთები შევაკვეცოთ. მართალი მოგახსენოთ, ქალაქის საბჭო, გამგეობა და პოლიცია მხნედ არიან და ცდილობენ ეგ ადამიანთა მმუსრავი სენი თავიდამ ააცილონ ქუთათურებს. ღმერთმან ინებოს, ცდა და ხარჯმა უქმად არ ჩაუაროთ. ამათთან ერთად ჩვენი სასანიტარო ექიმებიც შესაფერად მხნედ არიან და საგანგებო გულდადებით ეკიდებიან თავიანთს მძიმე მოვალეობას. საზოგადოდ ქუთათური ექიმები არ უფრთხიან იმ არა სანატრელს სტუმარს. ყველანი თავთავიანთს ადგილზედ არიან ხოლერის მოლოდინში. ხოლო ზოგმა მათგანმა შესაფერი სულის მხნეობა და სიმტკიცე ვერ გამოიჩინა. „საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს კარგისა მამაცისაგანაო“; სწორედ ამ ბრძნულის სიტყვებით ხელ-მძღვანელობს ერთი აქაური ექიმთაგანი, რომელიც, როგორც ამბობენ, დროებით სამსახურს თავს ანებებს. იქნება შესაწყნარებელი რამ საბუთი აქვს იმ ექიმს, ხოლო ეგ საბუთი რა არის, არავინ იცის და ამიტომ ეს ამბავი არავის მოსწონს.

რა-კი ხოლერის შესახებ დავიწყეთ ლაპარაკი, საჭიროდ ვრაცხთ ორიოდე სიტყვით მოვიხსენიოთ ზოგი საშუალება, რომლითაც შესაძლოა კაცმა ხოლერას თავი მოარიდოს. ერთი საშუალებათაგანი სახაიეა. ამ გვარს სახაიეს გამართვას, როგორც ამბობენ, ჩვენშიაც აპირობენ. ეგ განზრახვა მეტად მოსაწონია, ხოლო ერთი რამ დავიწყებიათ: სახაიეზედ არა ნაკლებად სასარგებლო იქნებოდა ხალხისათვის, განსაკუთრებით სოფლელთათვის, რომლებიც ყოველ დღე ქუთაისს ჩამოდიან სავაჭროდ, ადუღებული წყალი იქონიონ სხვა-და-სხვა ადგილას; თორემ ამ სიცხეებში სოფლელი ვინ იცის რასა სვამს. სიცხისაგან ილაჯ-გაწყვეტილი ან რიონს დაეწაფება, რომელიც ქუთაისში გაბინძურებულია და ან სადმე დუქანში შევა—იქნება წყალი დამალევინონო.

## წერილი რედაქციის მიმართ.

შარშან მე მსურდა ქობულეთში პირველ-დაწყებითი სასწავლებელი დამეარსებინა ქართველთ მაჰმადიანებისათვის, მაგრამ დახმარება არავინ მომცა და ამისათვის ეს აზრი დღევანდლამდე განუხორციელებელია. დღეს რადგან ქობულეთს თავისი სკოლის გასამართავად ფონდი აქვს, აქა-იქიდგან შეგროვილი, რომლითაც შეიძლება სკოლის დაარსება, ამისათვის ამ ზაფხულს დიდს თადარიგში ვარ ქობულეთში სკოლის დაარსებისათვის და სწავლას ამ მომავალ ენკენისთვეს პირველს კიდეც დავიწყებ. შარშან ქობულეთელებმა სასწავლებლისათვის შენობა დამითმეს. ახლა სხვა მოწყობილობაცა მაქვს და იმედია „ქართ. შორ. წერ.-კით. გამავრც. საზოგადოება“ დამეხმარება და სისრულეში დროზედ მომაყვანინებს სკოლის დაარსების საქმეს. თუ თვით არ შემეწევა, ამავე ქობულეთის სკოლის სახელობაზედ შეგროვილი ფული მაინც გამომიგზავნონ, რომლითაც სკოლა გაიმართება და სწავლაც დაიწყება ამ შემოდგომაზედ. იმედია, ქველ-მოქმედი ქართველებიც შემოგვეწევიან სახელმძღვანელო წიგნებით და სხვა სასწავლო ნივთებით ბავშვებისათვის უფასოდ დასარიგებლად.

მაკვანეთის კერძო სკოლის დროებითი მასწავლებელი

კონსტანტინე გვარამაძე

ოზურგეთი.

## დეპეშა

17 ივლისი

**პეტერბურგი.** სამკურნალო საბჭო იუწყება: ხოლერის დაწყებისათანავე მთელს იმპერიაში ის უაზრო ხმა გაისმა, რომ საავადმყოფოებში ზოგიერთგან ცოცხლები დაჰმარხესო; ექიმიც-კი აღმოჩნდა ერთი ისეთი, რომელმაც თავს ნება მისცა და გაზეთებში განაცხადა, რომ ამისთანა შემთხვევა შესაძლებელია ხოლერიანთა საჩქაროდ დასაფლავების გამოო. სამკურნალო საბჭო აცხადებს, რომ, როგორც საზოგადო ავადმყოფობათა, ისე კერძოდ ხოლერიანთა საავადმყოფოებში ამისთანა ამბავი შეუძლებელია, რადგან მიცვალებული მხოლოდ მაშინ გააქვთ სენაკიდგან, როდესაც ექიმი გასინჯავს და შეამოწმებს მის სიკვდილს, და, ამას გარდა, კანონის თანახმად, ხოლერით ავადმყოფს 24 საათზედ ადრე ვერ

---

პირადად ვიცნობ. ზამთრობით ბევრგან მინახავს. სწორედ კარგი კაცია. სიტყვა გადვუკარი, ელექტრონის სწავლას ძლიერ მივდევ-მეთქი. მგონი გავაგებინე, რაც მინდოდა. სხვა არა იყოს-რა, ელექტრონზედ ცოტა რამ მაინცა მაქვს წაკითხული. ეკარტთან-კი ცუდად მომივიდა საქმე. იმას კაცი პირდაპირ ვერას გაუბედავს. მაგრამ ქიმიაში იქნება როგორმე შემთხვევით გამოვძვრე, თუ ვერა და...

საბრალო კარლი პირდაღებული შესცქეროდა არტურსა. იმას ფიქრადაც ვერ მოუვიდოდა ესეთი ამბები. მართალია კარლმაც დაუარა მასწავლებლებს, მაგრამ ისეთი ლაპარაკი არავისთან არა ჰქონია. კიდევაც უხაროდა, რომ მალე მოშორებოდა და წამოსულიყო. როგორ შეეძლო გაებედნა და სიტყვა გადაეკრა, ხვალ ესა და ესა მკითხეთო. ზამთრობით პროფესორები არსად ახლო სალაპარაკოდ არ შეჰხვედრია. ან-კი რად უნდა ენახა საწყალსა! განა სადა ჰპატიჟობდნენ. წელიწადში ორჯელ ძლივს ავიდოდა ხოლმე ზემო სართულში და ისიც მარტო მაშინ, როდესაც მხოლოდ შინაურები იქნებოდნენ ერთადა.

ყოველმავე ამან უეცრად გაურბინა კარლს, ვიდრე არტური სტოლზედ რვეულებს გადაფურცლავდა.

— მოდი, კარლო, ეს მე მათხოვე, თან წავიღებ. ხომ ეკარტის ლექციებზედ გაქვს შედგენილი, არა? გადავათვალიერებ თეატრის წინადა და შემდეგ, იქნება სწორედ ის დავისწავლო, რაც საჭიროა.

არა, ორგანიულ საგნების შესახებ ცოტაოდენი სუსტად გახლავარ. შენკი, რასაკვირველია, კარგად გეცოდინება.

— იმედი მაქვს.

— მაშ შენ შეგიძლიან გულ-დამშვიდებით იყო.

არტურმა დაიხურა გვერდზედ ცილინდრი და წასვლა დააპირა. კარებში კიდევ მობრუნდა და უთხრა კარლსა:—თუ დაგჭირდეს, შემოდი ჩემთანა. მშვიდობით.

კარლი კვლავ წიგნებს ჩაუჯდა და ხან ამას დაეკითხებოდა თავისს თავსა და ხან იმას. საქმე ძლიერ კარგად მიდიოდა. მაგრამ ძლიერ-კი იმეცადინა და იშრომა უკანასკნელს თთვეებში! დრო გამოანგარიშებული ჰქონდა თითოეულის საგნისათვის ცალცალკე და ბევრჯელ ნაშუაღამევსა და გათენებამდეც არ მოჰშორებია წიგნებსა. ძლიერ გაიჭირვა საქმე, მაგრამ ეხლა-კი ყველაფერი კარგა მოიყვანა. რასაც-კი დაეკითხებოდა თავისს თავს, ყველაფერის პასუხი მზადა ჰქონდა.

აი კიდევ დაიწყო წიგნის კითხვა, მაგრამ უეცრად კარი გაიღო და ოთახში კარლის და ლიზა შემოვიდა. ტანზედ თეთრი ნახევრად გულ-გაღეღილი კოფთა ეცვა. ბრწყინვალე ქერა თმა სუფთადა ჰქონდა გადავარცხნილი და შუბლთან ოდნავ დახუჭუჭებული. ტანადი, ღია თვალების პატრონი, ლიზა თავისს ძმას კარლს სრულიად არ წააგავდა.

კარლმა მიიხედა.

— ეგ რასა ჰგევხარ? განა ეგრე შეიძლება სიარული? მკაცრად უთხრა კარლმა.

— იი ჰა, აბა ერთი ამ სიცხეში უთოს მოჰკიდე ხელი, ვნახოთ შენც ასე დაიწყებ სიარულსა თუ არა.

— ხომ კარგა ხანია უთოს მორჩი, განა არ შეგეძლო ჩაგეცვა? მე დაგინახე, კარშიაც გახვედი ეგრე. სირცხვილია.

— რას ამბობ, რა სირცხვილია კოფთით ეზოში გასვლა. ბევრს კიდევაც გაუხარდებოდა, რომ კოფთა ჩემსავით უხდებოდეთ. შენ მემდური და ბ-ნი არტური მაქებდა კიდეცა.

— არტური გაქებდა! წამოიყვირა კარლმა და ზეზე წამოხტა. სადა განახა იმან კოფთიანი?

— თუ ღმერთი გწამს ნუ ჰყვირი, მთლად გაწითლებული ხარ. განა რა უბედურება მომხდარა! ჩემთან შემოვიდა, რომ ვაუთოვებდი, და მითხრა კურდღლის ბაჭიას ჰგევხარო.

— მერმე შენც მოუთმინე და კარში არ გაისტუმრე.

ახალგაზდა ქალს ღიმილმა გადურბინა სახეზედ.

— რას ამბობ! იმიტომ უნდო გამეგდო, რომ ალერსიანად მომექცა!

— ნება არა აქვს, რომ ალერსიანად მოგექცეს! გრცხვენოდეს! ნება არ უნდა მისცე, რომ მოგეალერსოს! სწორედ უბედურებაა, რომ შენ თითონ არ გესმის ესა! გასწი და ამ საათში ჩაიცვი. მე არ მინდა, რომ ეგრე დაგინახო ხოლმე.

ლიზამ თავი გადიქნია და თითქოს საყვედურით უთხრა ძმასა:

— მე, რასაკვირველია, ფარჩის კაბებითა და არშიებით ვერ მოვირთვები, როგორც ის შენი გულის საყვარელი ირთობა, მაკილა რომ არის.

— ლიზას შესჭყივლა კარლმა და ხელი დაუჭირა დასა: აღარ გაბედო ეგრე ლაპარაკი გერტრუდაზე.

ჰა, ჰა, წყნარად! ლამის კისერი მოიღრიცო, რომ ეგები ფანჯარასთან როგორმე თვალი მოჰკრა ხოლმე. ეგ, შენის აზრით, სირცხვილი არ არის? იქნება გგონია, მე არა ვიცი რა!

კარლი ცდილობდა მღელვარება დაეფარა, მიუთითა ლიზას კარებისკენ და მკაცრად უთხრა:

— გასწი, დამეკარგე!

— ერი ჰა! მე სრულიადაც არა მსურს, რომ ეგრე მელაპარაკო.— სრულიად დაწყნარებით სთქვა ლიზამა: მაგრამ მე თითონ მინდა წავიდე. მე მგონია, ექიმობის სახელმა ეხლავე თავი აგირია, იქნება გგონია რითიმე მჯობდე? ჯერ მოიცა, ექიმობას ეღირსე და!

ლიზა გაბრუნდა და ამაყად გავიდა ოთახიდგან.

კარლს ბრაზისა გამო ჯერ კიდევ ვერ დაეწყო წიგნის კითხვა, რომ უეცრად ეზოდგან ხმა მოესმა—იმისი დედა რომელღაც მოსამსახურეს ხმა-მაღლა უჯავრდებოდა. ყვირილი მთელს სახლში გაისმოდა. სხვა-და-სხვა სართულის ფანჯრებიდგან მოსამსახურე ქალებმა თავები გამოჰყვეს. დედაბერი ცოტა ზრდილობიანს სიტყვებს ვერა ლაპარაკობდა. „თქვე ავაზაკებო, მე თქვენ გიჩვენებთ, თქვე ასეთ-ისეთებო“ და სხვ. სხაპა-სხუპით ამბობდა კარლის დედა, თუმცა საქმე სულ უბრალო რაღაცა იყო. მოსამსახურე ქალებიც ცდილობდნენ, რომ უფრო გაებრაზებინათ დედაბერი. „ნუ მღელვარებთ, დოქტორის დედაო“! დაიძახა რომელმაღაც ქალმა და სხვებს საშინელი სიცილი აუტყდათ ამ სიტყვებზედ. დედა-ბერი ნიადაგ ყველას იმას ეუბნებოდა, ჩემი შვილი მალე ექიმი შეიქმნებაო და მოსამსახურე ქალმა ამიტომ წასძახა გასაბრაზებლად ეს სიტყვები.

ს. გძელიშვილი

(შემდეგი იქნება)

დასაფლავებენ გარდაცვალებიდგან, როდესაც სიკვდილის ნიშნები უკვე სრულიად აშკარად იჩენს ხოლმე თავს.

სტამბოლიდგან ამბავი მოვიდა, რომ რუსეთის იმიერ-კავკასიის ნავთსადგურიდგან მისულ საქონლის კარანტინი დაწესებულ იქმნა. კარანტინი დაწესებულ იქმნა აგრეთვე შავის ზღვის ნაპირებისა და აზოვის ზღვის ნავთსადგურებისათვისაო.

15 ივლისიდგან პენზასა და მის გუბერნიაში ხოლერით, რომელიც ვოლგას ნაპირებიდგან მისულმა გლეხებმა მოიტანეს, 7 კაცი გარდაიცვალა. ტამბოვის გუბერნიაშიც რამდენიმე გახდა ავად იმათთაგანი, რომელიც ჭირიან ადგილებიდგან არიან მისულნი. 16 ივლისამდე ხარკოვში 26 კაცი გარდაიცვალა; 13 ივლისიდგან რკინის გზიდგან საავადმყოფოში მიიყვანეს 12, გარდაიცვალა 2, მორჩა 3. ადგილობრივ არავინ გამხდარა ავად. გუბერნიაში კვლავ ავად 5 კაცი გახდა; დანარჩენ სენ-მოდებულს ადგილებში კვლავ გარდაიცვალა სულ 1,834 კაცი; კერჩისა და თეოდოსიის კარანტინებში ავად აღარავინ გამხდარა.

ჩინეთის მთავრობა აცხადებს, რომ არავითარს პასუხის-გებას არა ვკისრულობთ იმ სესხთა შესახებ, რომელიც აღებულია მთავრობის ნებადაურთველად ჩინეთის ვიცე-კოროლებისა, გუბერნატორებისა და სხვა წარჩინებულთაგანაო.

**მოსკოვი.** გუშინ დიდის ამბით აკურთხეს პირველი საბოტანიკო-საკლიმატიზაციო გამოფენა, რამდენსამე განყოფილებად განაწილებული.

**ვენა.** პრესბურგის ახლო-მახლო ხოლერამ იჩინა თავი; რკინის გზის სადგურებზედ კატოვიცსა, შოპინიცსა, მისლოვიცსა, ეპლესსა და როტიმარში სასანიტარო ზედამხედველობაა დაწესებული. ვარშავიდგან პირდაპირ მისვლა-მოსვლა შეჩერებულია.

**ლონდონი.** ხმა დადის, რომ გლადსტონი ოდნავ გაცივდა და ლოგინში წევსო.

იოკაგამიდგან დეპეშით იუწყებიან, დღეს მოკვლა უნდოდათ გრაფის ოკუმისა და იუსტიციის მინისტრის რონოსი, მაგრამ ვერ მოახერხესო.

19 ივლისი

**პეტერბურგი.** ნება-დართულია გამართვა ცეცხლში დაუწვავ შენობათა და ცეცხლის გაჩენის საწინააღმდეგო საშუალებათა გამოფენისა მოსკოვში. გამოფენა მომავალს წელს გაზაფხულზედ გაიმართება.

გზათა უწყების სამინისტროს მმართველი ვიტტე, სახელმწიფო გზათა დროებითის გამგეობის თავმჯდომარე ადადუროვი და უფროსი ინსპექტორი ვენდრიხი გუშინ საღამოს ნიკოლაევის გზით გაემგზავრნენ.

სახელმწიფო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი გუშინ წავიდა სარატოვის გუბერნიაში.

გზათა უწყების სამინისტროს მმართველის მიერ „მმართებლ. მოამბე“-ში საყვედური აქვს გამოცხადებული ბალტიის რკინის გზის ინსპექტორსა და გამგეს, რადგან გზა სუფთად არ შეუნახავთ და მის გასუფთავებას მხნედ არ მოჰკიდებიანო.“

ოფიციალურის ცნობებით, შავისა და აზოვის ზღვის ნავთსადგურებიდგან გასულ მუშებისათვის კარანტინია დაწესებული კიდევ ჰიბრალტარსა და შვეციაში.

„მმართებლ. მოამბე“ აცხადებს, რომ პერმში ხოლერით პირველად 6 ივლისს გარდაიცვალა ნიჟნიდგან მოსული ტუსაღიო. 11 ივლისს კვლავ გარდაიცვალა 2; პოლტავის გუბერნიას, პოკროვსკაში 15 ივლისს არავინ გარდაცვლილა. დანარჩენ სენმოდებულს ადგილებში კვლავ გარდაიცვალა 1734 კაცი.

პეტერბურგის ბირჟა, 17 ივლისი

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,98 | 8,01 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 159½ | 160 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1,08 | 1,10 | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | 235½ |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 224 |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — ,, | — ,, | — ,, |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: 6%. . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5%. . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6%. | — ,, | — ,, | — ,, |
| 5%. . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | — ,, | — ,, |

### გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

**რკინის გზის მიმოსვლა**

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს, 50 წ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდამ გადის:

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კ ვ ი რ ა ო ბ ი თ ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ო რ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ, საღამოს 7 საათზე, საზღვარ გარედ სტამბოლში.

ბათუმში მოდის:

ო რ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: საღამოზე, ოდესიდგან, შორის გზით. პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ, დ ილით, ოდესიდგან, მოკლე გზით, გამოივლის ერჩსა და ნოვოროსიისკზე. კ ვ ი რ ა ო ბ ი თ დილით, სტამბოლიდგან.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

საფოსტო და სახალხო ოდესიდგან ორშაბათობით, დღისით.

სახალხო და საქონლისა კვირაობით, საღამოზე, ოდესიდგან. ს ა ხ ა ლ ხ ო და საქონლისა ბათუმიდგან ხუთშაბათობით, გაადისაით.

ფოთიდგ გადის:ან

საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, კვირაობით, დილის 8 საათზე

საფოსტო და სახალხო ორშაბათობითისაქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

ნ ი ხ რ ი

1892 წ. 4 მარტიდგან ახალ განკარგულებამდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | „ | კ. |
| წითელი „ 1-ის ხარისხ. | „ | „ „ |
| „ „ 2 | | |
| თონ. წით. პურ. 1 ხარ. | „ | „ „ |
| „ „ „ 2 | „ | „ „ |
| „ „ „ 3 | „ | „ „ |
| ჯვარის მამის პურის ლავაში. | | |
| 1-ის ხარ. პურ. ლავაშ. 1 გ. | | კ. |
| მე-2 „ „ „ | „ | . |
| მე-3 „ „ „ | „ | „ |
| ძროხის ხორცი 1-ის ხარისხისა | 8 | „ |
| „ „ 2 | „ | „ |
| სუკი — — — | 14 | „ |
| ცხვრის ხორცი — — | 9 | „ |
| ღორ. ხორ. უტყაოდ 1 ხარ. 1 გ. | 7 | „ |
| მე-2 ხარ. ტყავიანად | 6 | „ |

# განცხადებანი


## კბილის ექიმი
## ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

შუადღის 12-დგან ნაშუადღევის 2 საათამდე.

საღამოთი 5-დგან 7 საათამდე.

კვირ-უქმეა დღეებში

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევისე 1 საათამდე. (150—77)



„წერა-კითხვის საზოგადოების“
**წიგნის მაღაზიამ**

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ბნელი, მოთხრობა ნ. მელანიასი . . . . . | „ | 40 |
| ქართული კედლის კალენდარი 1892 წ. . . | „ | 20 |
| თხზულებანი ალ. ყაზბეგისა (მოჩხუბარიძისა) ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი I, II და III ტომი თითო ტომი. . | 1 | 40 |
| იგივე მშვენიერს ქაღალდზედ და მშვენიერის ყდით, თითო ტომი ცალკე . . . . . | 2 | 50 |
| სამივე ტომი. . . . | 7 | „ |
| სამზარეულო ქართულისა და ევროპიულის საჭმელებისა . . . . . | 1 | 80 |
| თხზულებანი ი. დავითაშვილისა . . . . . | „ | 20 |
| მარაბდა, პოემა ან. ფურცელაძისა . . . . . | „ | 20 |
| წყალობა პოემა მისივე . | „ | 20 |
| სურამის ციხე მოთხრობა ჭონქაძისა . . . . | „ | 25 |
| თამარ, სპარსული ლეგენდა . . . . . | „ | 10 |
| დემონი ლერმონტოვისა, თარგმანი მამია გურიელისა. . . . . . | „ | 15 |
| ცდა I, II და III ნაწილი. თითო ნაწ. ცალკე. . | „ | 50 |
| სხვერბლი, მოთხრობა დ. კარიჭაშვილისა . | „ | 30 |
| აქვთები ბოთხრობანი დ. ერისთავისა . . . . | „ | 50 |
| ონიკე ერისთავი, ისტორიული პოემა აკაკისა . | 1 | „ |
| კიკოლიას ნაამბობი, პოემა მისივე . . . . . | „ | 20 |



საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ივერია“

1892 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველდღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით. . . | 10 მ.—კ. | 6 თთვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 ,, . . . | 9 ,, 50,, | 5 ,, . . . | 5 ,, 50,, |
| 10 ,, . . . | 8 ,, 75,, | 4 ,, . . . | 4 ,, 75,, |
| 9 ,, . . . | 8 ,, —,, | 3 ,, . . . | 3 ,, 50,, |
| 8 ,, . . . | 7 ,, 25,, | 2 ,, . . . | 2 ,, 75,, |
| 7 ,, . . . | 6 ,, 50,, | 1 ,, . . . | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ ,,ივერია'' მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты ,,ИВЕРІЯ".

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:**

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დაასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცი არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში №.



**გამოვიდა და ისყიდება**

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“ და „წიგნების გამომცემელ ამხანაგობის“ მაღაზიაში ახალი წიგნი;

## ზ ა დ ი გ ი

მოთხრობა ვოლტერისა

გადმოთარგმნილი ა. ახნაზაროვისმიერ

ფასი 20 კაპ.

იქავე ისყიდება ა. ახნაზაროვის მიერვე გადმოთარგმნილი ოთხ-მოქმედებიანი დრამა თ. ა. სუმბათაშვილისა „ბორკილი“ და ჰღირს 40 კაპ.



ქ. ოზურგეთში

გამოვიდა და ისყიდება კ. თავართქილაძის მიერ გამოცემული შემდეგი ახალი წიგნები:

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| 1) „ამპარტავანი გიორგი“ გარშინისა . . | „ | 5 |
| 2) „ჩხუბი ერთი კვერცხისათვის“ ტოლსტოისა . | „ | 5 |
| 3) „საყმაწვილო ბიბლიოთეკა“ ოცხანელისა . | „ | 5 |
| 4) „ქართულ ანდაზების ლოტო“ ნ. ო—შვილისა. | „ | 80 |
| 5) „რავდენიმე მოთხრობა“ (გურიის ცხოვ.) ე. ნინოშვილისა . . | „ | 50 |
| 6) „სიმონა“ მოთხრობა (გურიის ცხოვ.) მისივე . | „ | 30 |
| 7) „ვეფხის-ტყაოსანი“ მეორედ გამოცემა ოზურგეთში სურათით . . | „ | 40 |

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოზურგეთში გამომცემელს, ტფილისში, ქუთაისში, ბათუმში, ფოთში, გორში, სამტრედიაში, ხონში და სოხუმში ყველა წიგნის მაღაზიებს. ყვირილაში ი. კაკაბაძეს, ბათუმში ზ. კალანდაძეს, ქუთაისსა და რიონს შუა ხეთერელს, განჯაში ს. დოლიძეს და ახალსენაკში ბ. მიქაძეს და აგრეთვე გურიის ყველა მასწავლებლებთან.



ქუთაისის თავად-აზნაურთ საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა.

საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამ ბანკის წესდების მე 18 § ძალით ქვემო აღნიშნულს დღეებშიდ ბანკის გამგეობის სადგურში საზოგადო ვაჭრობით გასყიდულ იქნებიან ხსენებულს ბანკში დაგირავებულნი უძრავნი მამულნი ქვემო აღნიშნულთა პირთა, შესახვედრ გარდასახადთა შემოუტანლობისა გამო.

გასყიდვა მოისპობა მხოლოდ იმ მამულებისა, რომელთა მეპატრონენი, თანხმად ბანკის წესდების მე 19 §-ისა, შეავსებენ ბანკის გარდასახადს და თან განცხადებათა ხარჯებს.

ვაჭრობა დაიწყება ქვემო მოყვანილის თავნი ფულიდამ ზედ დამატებით სხვა-და-სხვა შეუვსებელის გარდასახადისა, მამულის გასასყიდლად დანიშვნაზე ხარჯებისა და, საზოგადოდ ყოველ იმ ფულისა, რომელიც ბანკს თავისის მოვალის სამაგიეროდ დაუხარჯავს; ბანკის ხანგრძლივი ვალის თავნის მოსპობა შეიძლება ამავე ბანკის გირაოს ფურცლებით, რომელნიც მიიღებიან სახელდობრივის ფასისამებრ, მანეთი მანეთად და აგრეთვე შეიძლება გადატანილ იქმნენ მყიდველზე; ხოლო ვადაზე გადასახადი და